# საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# ბრძანება N 01- 08/18

ქ. ბათუმი 04 აპრილი, 2017 წ.

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 ივნისის N36 დადგენილების, ბსუ-ს 2017 წლის ბიუჯეტის და რექტორის მოადგილის 2017 წლის 3 აპრილის (MES 717 00315984) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, **2017 წლის 15 მაისიდან 2017 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით** განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსი შემდეგ მიმართულებებში:
   ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
   ბ) ინჟინერია, ტექნოლოგიები და აგრარული;
   გ) ეკონომიკა და ბიზნესი;
   დ) ჰუმანიტარული მეცნიერებები;
   ე) სოციალური მეცნიერებები;
   ვ) ინტერდისციპლინური კვლევები.
2. ბსუ-ს 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული, **120 000 ლარის** ფარგლებში დასაფინანსებელი, თითოეული მიმართულებით წარმოდგენილი პროექტის საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს **20 000 ლარს.**
3. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით **2017 წლის 10 აპრილიდან 20 აპრილის ჩათვლით.**
4. კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი საკონკურსო დოკუმენტაცია:

ა) განცხადება (თანდართული ფორმის შესაბამისად შედგენილი, **დანართი №1**)

ბ) სამეცნიერო - კვლევითი პროექტის აღწერილობა (თანდართული ფორმის შესაბამისად შედგენილი, **დანართი №2**);

გ) პროექტის ბიუჯეტი შესაბამისი კალენდარული გეგმით.

დ) პროექტის მონაწილეთა (პერსონალის) სია, მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოთა აღწერილობით და მათი CV-ები;

ე) ცნობა ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შესახებ და სასწავლო ბარათის ასლი (პროექტში მონაწილე ბსუ-ს სტუდენტთათვის).

ვ) წერილობითი თანხმობა პროექტში მონაწილეობის შესახებ (თანდართული ფორმის შესაბამისად შედგენილი, **დანართი №3).**

5. ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია (გარდა ,,ა" და ,,დ" ქვეპუნქტისა) წარმოდგენილი უნდა იქნეს დალუქული კონვერტით.
6. საკონკურსო განცხადება შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ბსუ-ს დასაქმებულმა ან ბსუ-ს ემერიტუსმა.
7. პროექტის ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს მხოლოდ ბსუ-ში დასაქმებული დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალი, ასევე ბსუ-ს ემერიტუსი და სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, ხოლო პროექტის დამხმარე პერსონალი შეიძლება იყოს ბსუ-ში დასაქმებული სხვა პირები.
8. პროექტში სავალდებულოა ბსუ-ს სტუდენტის (მაგისტრანტი ან დოქტორანტი) ჩართულობა. ამასთან, ინტერდისციპლინური სამეცნიერო–კვლევითი პროექტებისათვის სავალდებულოა პროექტში მონაწილე თითოეული ფაკულტეტიდან არანაკლებ 1 (ერთი) სტუდენტის და არანაკლებ 1 (ერთი) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირის ჩართულობა.
9. ერთი და იგივე პირი (პერსონალი, ემერიტუსი ან სტუდენტი) არ შეიძლება ერთდროულად მონაწილეობდეს უნივერსიტეტის რამდენიმე მიზნობრივ კვლევით პროექტში. იმ შემთხვევაში, თუკი კონკურსის ეტაპზე წარმოდგენილი იქნება ამ პირის სხვადასხვა პროექტში ჩართვის თაობაზე თანხმობა და საბოლოოდ იგი აღმოჩნდება ერთზე მეტი გამარჯვებული პროექტის მონაწილე, მისივე განცხადებით (წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე) განისაზღვრება ის ერთი პროექტი, რომელშიც მონაწილეობას იგი მიანიჭებს უპირატესობას.
10. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები" და ,,ბსუ-ს სამართლებრივი აქტები).
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**რექტორი, ასოც. პროფესორი** **მერაბ ხალვაში**

*დანართი №1*

**ბსუ-ს რექტორს**

_____

(მიუთითეთ უნივერსიტეტში დაკავებული თანამდებობა)

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

წარმოგიდგენთ ----------
მიმართულებით მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტს.

განცხადებას თან ერთვის:

1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერილობა – – გვ.
2. პროექტის ბიუჯეტი შესაბამისი კალენდარული გეგმით.
3. პროექტში მონაწილეთა (პერსონალის), მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოთა აღწერილობა და CV-ები;
4. პროექტში მონაწილე ბსუ-ს სტუდენტთათვის - ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ და სასწავლო ბარათის ასლები (გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ) – – გვ.
5. პერსონალის წერილობითი თანხმობა პროექტში მონაწილეობის შესახებ--
6. სტუდენტთა წერილობითი თანხმობა პროექტში მონაწილეობის შესახებ – – გვ.

პატივისცემით,

_____
(ხელმოწერა)

ტელეფონის ნომერი: _____

თარიღი: – –/ – –/2017 წ.

*დანართი №2*

## მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერილობა

| | |
|---|---|
| კვლევითი პროექტის დასახელება | |
| კვლევითი პროექტის მოკლე აღწერა (პრობლემის განსაზღვრა, საკითხის აქტუალობა)<br><br>(მაქსიმუმ 500 სიტყვა) | *პრობლემის განსაზღვრა და აქტუალობა* - გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის ხაზგასმას, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული თქვენი პროექტი. დაასაბუთეთ, რატომ არის კვლევა აქტუალური და რა იქნება მისი სამეცნიერო ღირებულება. |
| კვლევითი პროექტის მიზნები<br><br>(მაქსიმუმ 300 სიტყვა) | გულისხმობს ფართო, ზოგად დებულებას იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ კვლევის ჩატარების შედეგად. |
| *კვლევითი პროექტის ამოცანები*<br><br>(მაქსიმუმ 300 სიტყვა) | გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. მიუთითეთ, რა ამოცანების შესრულებას ისახავთ პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამოდენიმე ამოცანა პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით. |
| კვლევითი პროექტის შედეგები<br><br>(მაქსიმუმ 300 სიტყვა) | გულისხმობს იმ სავარაუდო ეფექტს, რაც მოჰყვება თქვენი პროექტის წარმატებით განხორციელებას. |
| კვლევითი პროექტის მეთოდოლოგია<br><br>(მაქსიმუმ 500 სიტყვა) | აღწერეთ რა მეთოდების გამოყენებით ახორციელებთ კვლევას. იყავით მაქსიმალურად კონკრეტული და დაასაბუთეთ მეთოდის შერჩევის საფუძველი. რაოდენობრივი, თვისებრივი, ან შერეული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში ცხადად ჩამოაყალიბეთ ის, თუ რამდენად ხელმისაწვდომია მონაცემები, თუ თქვენ ახდენთ მათ შეგროვებას? როგორ ახდენთ მონაცემების ანალიზს და რა ტექნიკების გამოყენებით? რა რაოდენობაზე და ა.შ. |

**კვლევითი პროექტის განხორციელების სქემა**

გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენს მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად, გაწერილს თვეების მიხედვით.

| ეტაპი | აქტივობა | *შედეგები* | თვე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| | | | | | | | | | |

*დანართი №3*

**ბსუ-ს რექტორს**

_____

(მიუთითეთ უნივერსიტეტში დაკავებული თანამდებობა)

**თანხმობის წერილი**

თანახმა ვარ მონაწილეობა მივიღო ---------- მიმართულებით მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევაში, რომელიც წარმოდგენილია ———— ———————— ხელმძღვანელობით.

_____

(ხელმოწერა)

ტელეფონის ნომერი: ————

თარიღი: – –/ – –/2017 წ.